

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის
ბრძანება N 238
2006 წლის 5 სექტემბერი ქ. თბილისი

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სადეპოზიტო სერტიფიკატების
გამოშვების, გაყიდვის, მიმოქცევის, რეგისტრაციის და დაფარვის შესახებ
დებულების დამტკიცების თაობაზე

“საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 29-ე და 73-ე მუხლების შესაბამისად და ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ხელშეწყობის მიზნით ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სადეპოზიტო სერტიფიკატების გამოშვების, გაყიდვის, მიმოქცევის, რეგისტრაციის და დაფარვის შესახებ თანდართული დებულება.
2. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

რ. გოგირიძე

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სადეპოზიტო სერტიფიკატების გამოშვების, გაყიდვის, მიმოქცევის, რეგისტრაციისა და დაფარვის შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს დებულება განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მოკლევადიანი დისკონტური სადეპოზიტო სერტიფიკატების (შემდგომში - სადეპოზიტო სერტიფიკატი) გამოშვების, გაყიდვის, მიმოქცევის, რეგისტრაციის და დაფარვის წესს.
2. დებულება შემუშავებულია „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29- ე მუხლის შესასრულებლად და 73-ე მუხლის შესაბამისად.
3. ეროვნული ბანკი უშვებს სადეპოზიტო სერტიფიკატებს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზნების განსახორციელებლად.
4. სადეპოზიტო სერტიფიკატების გამოშვება ხდება ეროვნული ვალუტით, არამატერიალიზებული ფორმით, სისტემა-ანგარიშზე ჩანაწერის სახით.
5. ერთი ფასიანი ქაღალდის ნომინალური ღირებულებაა 1000 ლარი.
6. სადეპოზიტო სერტიფიკატების გამოშვება ხდება ერთ წლამდე დაფარვის ვადით, დისკონტით და დაიფარება ნომინალური ღირებულებით.
7. საქართველოს ეროვნული ბანკი სადეპოზიტო სერტიფიკატებს ყიდის მხოლოდ რეზიდენტ სათავო კომერციულ ბანკებზე და არარეზიდენტი კომერციული ბანკების ფილიალებზე (შემდგომში – კომერციული ბანკი). (1.11.2006 N303)
8. ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის კომისია ადგენს სადეპოზიტო სერტიფიკატების ემისიის მაქსიმალურ მოცულობას, ვადიანობას და მაქსიმალურ საპროცენტო განაკვეთს, რომლის ზემოთაც არ შეიძლება სადეპოზიტო სერტიფიკატების გაყიდვა. ამასთან, ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის კომისიას უფლება აქვს დაადგინოს თითოეული ემისიისათვის ერთი მონაწილის მიერ სადეპოზიტო სერტიფიკატების შესყიდვის მაქსიმალური ოდენობა. (1.11.2006 N303)

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ქვემოთ ჩამოთვლილ ტერმინებს ამ დებულებაში აქვს შემდეგი მნიშვნელობა:
 - ა) სადეპოზიტო სერტიფიკატი – საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოშვებული მოკლევადიანი დისკონტური ფასიანი ქაღალდი;
 - ბ) სადეპოზიტო სერტიფიკატი არამატერიალიზებული ფორმით – ფასიანი ქაღალდი, რომელიც არსებობს სისტემა-ანგარიშზე ჩანაწერების სახით ფასიანი ქაღალდების რეესტრში;
 - გ) სადეპოზიტო სერტიფიკატების პირველადი ბაზარი – ეროვნული ბანკის მიერ სადეპოზიტო სერტიფიკატების პირველადი შეთავაზება კომერციული ბანკებისათვის წინასწარ დადგენილ დროსა და დანიშნულ ადგილზე;
 - დ) ამოღებულია (1.11.2006 N303)
 - ე) კომერციული ბანკი – ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული იურიდიული პირი, რომელიც იღებს დეპოზიტებს და მათი გამოყენებით თავისი სახელით აწარმოებს კანონმდებლობით განსაზღვრულ საბანკო საქმიანობას;
 - ვ) ნომინალური ღირებულება – თანხა, რომელიც ემიტენტმა (ეროვნულმა ბანკმა) უნდა გადაუხადოს ინვესტორს განაღდების თარიღის დადგომისთანავე;
 - ზ) საანგარიშსწორებო ფასი – თანხა, რომელსაც იხდის მყიდველი სადეპოზიტო სერტიფიკატების შეძენისას;
 - თ) სისტემა-ანგარიში – სისტემა, რომლის მეშვეობითაც ეროვნული ბანკი რეესტრში ჩანაწერის სახით რეგისტრაციაში ატარებს ფასიან ქაღალდს;

ო) დისკონტის თანხა – სხვაობა სადეპოზიტო სერტიფიკატის ნომინალურ ღირებულებასა და მის საანგარიშსწორებო ფასს შორის, რომელიც ნომინალურ ღირებულებაზე ნაკლებია;

კ) მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი – საპროცენტო განაკვეთი, რომლის ზემოთაც ეროვნული ბანკი არ გაყიდის სადეპოზიტო სერტიფიკატებს;

ლ) შეძენის დღე – აუქციონის ჩატარების დღე, როდესაც მოხდა ფასიანი ქაღალდის შეძენა;

მ) დაფარვამდე დღეების რაოდენობა – სადეპოზიტო სერტიფიკატების შეძენის დღიდან დაფარვის დღემდე კალენდარული დღეების რაოდენობა;

ნ) დაფარვის დღე – დღე, როდესაც უნდა მოხდეს ფასიანი ქაღალდის ნომინალური ღირებულებით განაღდება;

ო) მრავალი ფასის მეთოდი – მეთოდი, რომლის დროსაც აუქციონში გამარჯვებული მყიდველი დაკმაყოფილებს განაცხადში მის მიერ მითითებული ფასით;

პ) საშუალო შეწონილი ფასი – აუქციონზე გამარჯვებული განაცხადების მიხედვით გამოთვლილი საშუალო შეწონილი ფასი;

ჟ) გამოცხადებული ემისია – საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გასაყიდად გამოტანილი სადეპოზიტო სერტიფიკატების ოდენობა;

რ) ნომინალური მფლობელი – ფასიანი ქაღალდების მფლობელი;

ს) ემისიის სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი – ნომერი, რომელსაც ანიჭებს საქართველოს ეროვნული ბანკი სადეპოზიტო სერტიფიკატების ყოველ გამოშვებას (ემისიას).

მუხლი 3. პირველადი ბაზრის ორგანიზება

1. პირველად ბაზარზე სადეპოზიტო სერტიფიკატების გაყიდვა ხდება აუქციონის მეშვეობით.

2. აუქციონების ჩატარება ეფუძნება მრავალი ფასის მეთოდს.

3. აუქციონი ეწყობა საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში – ეროვნული ბანკი) ადმინისტრაციულ შენობაში, ეროვნული ბანკის შეტყობინების საფუძველზე. (1.02.2008 N28)

4. ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკებს აუქციონის ჩატარების შესახებ აცნობებს ელექტრონული ფორმით არა უგვიანეს ერთი სამუშაო დღით ადრე. (1.02.2008 N28)

5. ეროვნულ ბანკს შეუძლია გააუქმოს დანიშნული აუქციონი არა უგვიანეს აუქციონის დაწყებამდე ერთი საათით ადრე. (1.02.2008 N28)

6. აუქციონის მუშაობას წარმართავს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით დანიშნული საკრედიტო კომიტეტი (შემდგომში – კომიტეტი). (18.04.2007 N98)

მუხლი 4. განაცხადების წარდგენის წესი

1. კომიტეტი განაცხადების მიღებას იწყებს აუქციონის დღეს, აუქციონის დაწყებამდე ერთი საათით ადრე და წყვეტს აუქციონის დაწყების მომენტში. (1.11.2006 N303)

2. განაცხადებს კომერციული ბანკები აუქციონში მონაწილეობის შესახებ ელექტრონული ფორმით წარადგენენ აუქციონის მომსახურე პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით.

3. აუქციონზე დაიშვება მხოლოდ სწორად შევსებული ელექტრონული განაცხადი, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: კომერციული ბანკის კოდს, პირად ანგარიშს, შესასყიდი ფასიანი ქაღალდების რაოდენობას, საპროცენტო განაკვეთს და შესაბამის საანგარიშსწორებო ფასს.

4. კომერციულ ბანკს უფლება აქვს აუქციონის დაწყებამდე გამოგზავნილი ძველი განაცხადი გააუქმოს და/ან გაითხოვოს, ხოლო მის ნაცვლად წარადგინოს ახალი განაცხადი. დაუშვებელია აუქციონის დაწყების შემდეგ განაცხადის შეცვლა ან უკან გამოთხოვა. (1.11.2006 N303)

5. სადეპოზიტო სერტიფიკატების შესყიდვაზე ბანკის მიერ წარდგენილ განაცხადში სადეპოზიტო სერტიფიკატების რაოდენობა არ უნდა იყოს 50 ცალზე ნაკლები.

6. აუქციონის მონაწილე ბანკები ვალდებული არიან აუქციონის დაწყებამდე უზრუნველყონ

განაცხადში მითითებული საანგარიშსწორებო ფასის შესაბამისი თანხის არსებობა ეროვნულ ბანკში თავიანთ საკორესპონდენტო ანგარიშებზე.

7. საკორესპონდენტო ანგარიშზე არსებული თანხის განაცხადში მითითებულ თანხაზე ნაკლებობის შემთხვევაში, განაცხადი მიიღება საკორესპონდენტო ანგარიშზე რიცხული თანხის ფარგლებში. ამასთან, თუ საკორესპონდენტო ანგარიშზე არსებული თანხა ვერ უზრუნველყოფს მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნას, აღნიშნული განაცხადი გაუქმდება.

მუხლი 5. აუქციონის ჩატარების წესი (1.02.2008 N28)

1. აუქციონზე დაშვებული განაცხადები დაჯგუფდება ფასიანი ქაღალდების შესაძენად განაცხადებული საპროცენტო განაკვეთის ზრდის მიხედვით.

2. აუქციონზე წარმოდგენილი განაცხადები დაკმაყოფილდება მათი საპროცენტო განაკვეთის ზრდის მიხედვით და აუქციონი სრულდება მაშინ, როდესაც დალაგებული განაცხადების საერთო თანხა გაუთანაბრდება გასაყიდად გამოტანილი სადეპოზიტო სერტიფიკატების საერთო თანხას ან საპროცენტო განაკვეთი გაუთანაბრდება მაქსიმალურ საპროცენტო განაკვეთს. (1.02.2008 N28)

3. იმ შემთხვევაში, თუ აუქციონის დასრულებისას ყველაზე მაღალი ერთი და იგივე საპროცენტო განაკვეთის მქონე რამდენიმე განაცხადის თანხა აღემატება ჯერ კიდევ განუთავსებელი სადეპოზიტო სერტიფიკატების ოდენობას, ეს განაცხადები დაკმაყოფილდება პროპორციული განაწილების პრინციპით, მძიმის შემდეგ, რიცხვის მე-100-მდე დამრგვალებით.

4. აუქციონის დასრულებისას კომერციული ბანკი თავის სამუშაო ადგილიდან იღებს დოკუმენტაციას (ამონაწერს) აუქციონში მათი მონაწილეობის თაობაზე (დანართი N 2). (1.11.2006 N303)

5. აუქციონის შედეგები გამოქვეყნდება მისი დამთავრების შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს 17.00 საათისა ეროვნული ბანკის ვებგვერდზე.

მუხლი 6. სადეპოზიტო სერტიფიკატების ყიდვაზე შემდგარი

გარიგებების რეესტრაცია

1. კომიტეტი აწარმოებს სადეპოზიტო სერტიფიკატების შემდგარ გარიგებათა რეესტრაციას რეესტრში ანგარიშზე ჩანაწერის სახით.

2. აუქციონზე შემდგარი გარიგებების რეესტრს ენიჭება ცამეტი ციფრისაგან შემდგარი ნომერი, რომლის პირველი ორი ციფრი აღნიშნავს ფასიანი ქაღალდების ტიპს – CD – სადეპოზიტო სერტიფიკატები, შემდეგი ხუთი ციფრი აღნიშნავს აუქციონის ჩატარების წლის ბოლო ორ ციფრს და აუქციონის ნომერს, ბოლო ექვსი ციფრი აღნიშნავს დაფარვის თარიღს (დღეს, თვეს, და წლის ბოლო ორ რიცხვს). რეესტრში ფასიანი ქაღალდების მფლობელების მიხედვით აისახება ბანკის კოდი, პირადი ანგარიში, შეძენილი ფასიანი ქაღალდების რაოდენობა, გასხვისებული/დაგირავებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა. (18.04.2007 N98)

3. მფლობელს უფლება აქვს სადეპოზიტო სერტიფიკატები გაასხვისოს ან დააგირაოს მხოლოდ სხვა კომერციულ ბანკთან ან ეროვნულ ბანკთან.

4. სადეპოზიტო სერტიფიკატების გასხვისების ან დაგირავების (გარდა ეროვნულ ბანკთან დადებული გარიგებისა) შემთხვევაში, კომერციული ბანკი იმავდროულად წარუდგინეს კომიტეტს შეტყობინებას (დანართი N3) რეესტრში ცვლილებების შესატანად (დაუშვებელია ფასიანი ქაღალდების დაფარვის დღეს რეესტრში ცვლილებების შეტანა) ახალი მფლობელისათვის დაფარვის ვადის დადგომისას ფასიანი ქაღალდების ნომინალური ღირებულებით ანაზღაურების მიზნით.

მუხლი 7. სადეპოზიტო სერტიფიკატების ყიდვა-გაყიდვასა და დაფარვასთან დაკავშირებული ანგარიშსწორების წესი

1. სადეპოზიტო სერტიფიკატების აუქციონის შედეგების მიხედვით საბოლოო ანგარიშსწორება უნდა დასრულდეს აუქციონის ჩატარების დღეს.

2. ერთი სადეპოზიტო სერტიფიკატის საანგარიშსწორებო ფასი გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$\text{საანგარიშსწორებო ფასი} = \frac{\text{ნომინალური ღირებულება}}{1 + \left(\frac{\text{საპროცენტო განაკვეთი}}{100} * \frac{\text{დაფარვამდე დღეების რაოდენობა}}{365} \right)}$$

3. განთავსებული ფასიანი ქაღალდების დაფარვის ვადის დადგომისას, შესაბამისი რეესტრით გათვალისწინებული ნომინალური მფლობელის ანგარიშზე ჩაირიცხება სადეპოზიტო სერტიფიკატების ნომინალური ღირებულება.

მუხლი 8. მხარეთა პასუხისმგებლობა

1. კომერციულ ბანკებს ეკრძალებათ ისეთი გარიგებებისა და მოქმედებების განხორციელება, რომელთა შედეგადაც ისინი დამოუკიდებლად ან სხვა პირებთან ერთად დომინირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან სადეპოზიტო სერტიფიკატების ბაზარზე, აგრეთვე ნებისმიერი სხვა მანიპულაცია, რომლებიც დაუმსახურებელ უპირატესობას მიანიჭებს მათ ან მესამე პირებს და შექმნის კონკურენციის შეზღუდვის საშიშროებას.

2. ბანკების მხრიდან აღნიშნული სახის დარღვევების გამოვლენისას, ეროვნული ბანკი სანქციებს გაატარებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. აუქციონის მონაწილეები ვალდებული არიან განუხრელად დაიცვან აუქციონის დებულების მოთხოვნები.

4. კომიტეტი უფლებამოსილია გააკონტროლოს აუქციონის მონაწილეების მიერ ამ დებულების პირობების დაცვის მდგომარეობა.

დანართი N1 ამოღებულია (1.02.2008 N28)

დანართი N2

ამონაწერი

დაკამყოფილებული განაცხადები

N	ბანკის დასახელება	პირადი ანგარიში	დაფარვის ვადა	ფასიანი ქაღალდების		ერთი ფასიანი ქაღალდის საანგარიშწორებო ფასი (ლარებით, თეთრებით)	ნაყიდი ფასიანი ქაღალდების საანგარიშწორებო ფასი (ლარებით, თეთრებით)
				რაოდენობა	ნომინალური ღირებულება (ლარებით)		
1	2	3	4	5	6	7	8
1							
2							
2							

დაუკამყოფილებელი განაცხადები

4							
5							
6							

საკრედიტო კომიტეტი

დანართი N3

შეტყობინება N

სადეპოზიტო სერტიფიკატის გასხვისების ან დაგირავების თაობაზე
„___“ _____ 200 წ.

გამსხვისებლის (დამგირავებლის) დასახელება: _____

ბანკის კოდი, პირადი ანგარიშის ნომერი: _____

გაცნობებთ, რომ ჩვენ მიერ 200- წლის „___“ _____ N _____ აუქციონზე ნაყიდი სადეპოზიტო სერტიფიკატი გასხვისებულია (დაგირავებულია)
რაოდენობა: _____

(ციფრებით და სიტყვებით)

* პირველად ბაზარზე შექმნილი სადეპოზიტო სერტიფიკატის საპროცენტო განაკვეთი და საანგარიშწორებო ფასი: _____

(ციფრებით და სიტყვებით)

გასხვისებისას (დაგირავებისას) სადეპოზიტო სერტიფიკატის საპროცენტო განაკვეთი და საანგარიშწორებო ფასი: _____

(ციფრებით და სიტყვებით)

** დაკამყოფილების ვადა 200 წლის „___“ _____

ახალი მფლობელის (მოგირავნის) დასახელება: _____

ბანკის კოდი, პირადი ანგარიშის ნომერი: _____

გთხოვთ აცნობოთ საქართველოს ეროვნულ ბანკს დაფარვის ვადის დადგომისას ახალი მფლობელისათვის (მოგირავნისათვის) სადეპოზიტო სერტიფიკატების ნომინალური ღირებულებით ანაზღაურების მიზნით.

გამსხვისებლის (დამგირავებლის) ხელმოწერა: ბ. ა.

ახალი მფლობელის (მოგირავნის) ხელმოწერა: ბ. ა.

ბანკში შეტყობინების შემოსვლის თარიღი:

ხელმოწერები: 1.

2.

ბ. ა.

მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკისათვის:

შეტყობინება გასხვისების/დაგირავების თაობაზე შემოვიდა ეროვნულ ბანკში 200 წლის _____ და შეტანილია ცვლილებები აუქციონზე შემდგარი გარიგებების რეესტრში. სადეპოზიტო სერტიფიკატების ვადის დადგომისას ანგაშირსწორება განხორციელდება შეტყობინებაში მითითებული ანგარიშების მიხედვით.

ხელმოწერები: 1.

2.

ბ. ა.

აღნიშნული შეტყობინება დგება 3 ცალად, ერთი ინახება საქართველოს ეროვნულ ბანკში. ხოლო თითო-თითო სადეპოზიტო სერტიფიკატის გასხვისების/გირავნობის მონაწილეებთან.

* * პირველად ბაზარზე სადეპოზიტო სერტიფიკატების განსხვავებული ფასით შესყიდვის შემთხვევაში მიეთითება ცალ-ცალკე.

*** „ივსება ფასიანი ქაღალდების დაგირავებისას“.